ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2025 წლის 16 იანვარი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 04.01.2019 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.124.016356) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი (N1; №2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ნუსხა	თანამდებობ. რანგი	თანამდებობ. სარგო	თანამდებობ. სარგოს კოეფიციენტი
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	1	-	6002.00	
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის I მოადგილე	1	-	4538.00	
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	-	3952.00	
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	-	3220.00	
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	-	2928.00	
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	3	-	2341.00	
7	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში	1	III	1898.00	1.3
8	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს სხდომების პროექტების, საკრებულოს ნორმატიული აქტების ელექტრონული ფორმით მომზადებისა და ელექტრონულად განთავსების საკითხებში	1	III	1898.00	1.3

9	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1	III	1898.00	1.3
10	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების მომზადების საკითხებში	1	III	1898.00	1.3
11	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1898.00	1.3
12	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში	1	III	1898.00	1.3
13	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1898.00	1.3

დანართი №2

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო ნუსხა	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიც.
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1	3358.00	

მუხლი 2

1. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა დანართი №1-სა და გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის დანართი №1 ამოქმედდეს 2025 წლის 1 თებერვლიდან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ გიორგიძე**